# ხელოვნური ინტელექტის კორპორატიული რეგულირების მოდელები და გამოწვევები ქართულ საბანკო სექტორში

ილონა შონია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: საზოგადოებრივი ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალექსანდრე ასათიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

# განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ილონა შონია

21.06.2026

# მადლობა

კვლევაზე მუშაობის დროს გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორს ალექსანდრე ასათიანს. ასევე რესპოდენტებს რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კვლევაში.

# სარჩევი

შესავალი ..... 1

თავი I. ხელოვნური ინტელექტის კორპორატიული მმართველობის თეორიული და მარეგულირებელი საფუძვლები ..... 6

1.1. კორპორატიული მართვის თეორიები AI-ს ეპოქაში: აგენტის და დაინტერესებული მხარეების თეორია ..... 6

1.2. საერთაშორისო რეგულაციები და სტანდარტები: EU AI Act და NIST AI RMF ..... 12

თავი II. კვლევის მეთოდოლოგია და საქართველოს კონტექსტი ..... 18

2.1. კვლევის დიზაინი, მეთოდები და მონაცემთა ტრიანგულაცია ..... 18

2.2. საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო ჩარჩო ..... 23

თავი III. რეგიონული და სექტორთაშორისი ანალიზის გაღრმავება ..... 28

გენერაციული AI-ს (GenAI) სპეციფიკური რისკები და ტექნიკური გადაწყვეტები ..... 32

მომხმარებელზე ორიენტირებული პერსპექტივები და ბანკის პასუხისმგებლობა ..... 37

სამართლებრივი პერსპექტივების გაფართოება: ქართული პრაქტიკის ანალიზი ..... 41

AI-ს გავლენა კორპორატიულ კულტურასა და ადამიანურ რესურსებზე ..... 45

თავი IV. ქართული საბანკო სექტორის ემპირიული ანალიზი ..... 48

3.1. სისტემური ბანკების ქეის-ანალიზი AI მმართველობის შეფასების მატრიცის მიხედვით ..... 48

3.2. სადისკუსიო საკითხები: "ჩრდილოვანი AI", ალგორითმული მიკერძოება და რეპუტაციის მართვა ..... 55

3.3. საერთაშორისო გამოცდილება: AI Governance-ის პრაქტიკა პოლონეთისა და ბალტიისპირეთის საბანკო სექტორში ..... 59

3.4. AI მმართველობის დანერგვის პრაქტიკული საგზაო რუკა საქართველოს კომერციული ბანკებისთვის ..... 60

3.5. AI მმართველობა და კორპორაციული რეპუტაციის მართვა ..... 62

დასკვნა და რეკომენდაციები ..... 65

გამოყენებული ლიტერატურა ..... 69

დანართები ..... 80

კვლევის ინსტრუმენტი (კითხვარი) ..... 80

## ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ხელოვნური ინტელექტის (AI) კორპორატიული მართვის მოდელები, რისკები და ორგანიზაციული მზაობა საქართველოს კომერციულ ბანკებში. ნაშრომის მიზანია, შეფასდეს ქართული საბანკო სექტორის არსებული პრაქტიკის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან - ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტთან (EU AI Act) და NIST-ის რისკების მართვის ჩარჩოსთან - და განისაზღვროს ეფექტიანი AI მმართველობის მოდელის განვითარების შესაძლებლობები. AI-ს სწრაფი დანერგვა, ტექნოლოგიურ სარგებელთან ერთად, საოპერაციო, სამართლებრივ, რეპუტაციულ და ეთიკურ გამოწვევებს წარმოშობს, რომელთა მართვაც საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნების მთავარი წინაპირობაა.

კვლევის მეთოდოლოგია თვისებრივ დიზაინსა და მრავალკომპონენტიანი ქეის-ანალიზის სტრატეგიას ეფუძნება. შესწავლის ობიექტია საქართველოს კომერციული ბანკები, რომლებიც სისტემურ, საშუალო და ციფრულ კატეგორიებად ჯგუფდება. მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტების - წლიური ანგარიშების, პილარ 3-ის ანგარიშგებებისა და კორპორაციული მართვის დოკუმენტების - ანალიზით შეგროვდა. კვლევის სანდოობის გასაზრდელად გამოყენებულია მონაცემთა ტრიანგულაციის პრინციპი, რაც ფორმალური დოკუმენტების გარდა, ირიბი ინდიკატორების, მაგალითად, AI-სთან დაკავშირებულ პოზიციებზე ბანკების მიერ გამოქვეყნებული ვაკანსიების ანალიზსაც მოიცავდა.

ნაშრომზე მუშაობისას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები სრულად იყო დაცული. კვლევა დაეფუძნა მხოლოდ საჯაროდ ხელმისაწვდომ წყაროებს, ამიტომ

კონფიდენციალური ინფორმაციის დამუშავების საჭიროება არ დამდგარა. ამასთან, შედეგების ანალიზი და შეფასება მაქსიმალური ობიექტურობითა და მიუკერძოებლობით წარიმართა.

კვლევამ აჩვენა, რომ ქართულ სისტემურ ბანკებს აქვთ კორპორაციული მართვის მყარი სტრუქტურები, რაც AI რისკების მართვის საფუძველს ქმნის. თუმცა, ხელოვნური ინტელექტის მმართველობის ჩარჩოების ფორმალიზებისა და საჯარო ანგარიშგებებში მათი ასახვის დონე არათანაბარია. გამოიკვეთა სამი მთავარი ორგანიზაციული და ეთიკური გამოწვევა: „ჩრდილოვანი ხელოვნური ინტელექტი“ (Shadow AI), ანუ თანამშრომლების მიერ არაავტორიზებული AI ინსტრუმენტების გამოყენება; ალგორითმული მიკერძოება, რომელმაც შესაძლოა მომხმარებელთა დისკრიმინაცია და მძიმე რეპუტაციული ზიანი გამოიწვიოს; და „შავი ყუთის“ მოდელებთან დაკავშირებული გაუმჭვირვალობა, რაც ანგარიშვალდებულების პრობლემას ქმნის.

ნაშრომის დასკვნის თანახმად, AI-ს კორპორატიული მართვის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება პირდაპირ კავშირშია საოპერაციო, სამართლებრივი და რეპუტაციული რისკების მართვასთან, რითაც კვლევის ჰიპოთეზა დასტურდება. ამასთან, წარმოდგენილია რეკომენდაციები: ინტეგრირებული AI მმართველობის ჩარჩოს ფორმალიზება, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების გაძლიერება - მათ შორის, პროაქტიული საკომუნიკაციო სტრატეგიებისა და „ადამიანის ჩართულობის“ (Human-in-the-Loop) პრინციპის დანერგვა. ეს ნაბიჯები ორგანიზაციის გრძელვადიანი მდგრადობისა და მომხმარებელთა ნდობის შენარჩუნების საწინდარია.